B23134576
გადახდის ნომერი: **EN2486859**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B23134576**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 22/09/2023 12:43:11
განცხადების ნომერი: 2486859
განცხადების მიღების დრო: 22/09/2023 12:39:14

# განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება ( განმცხადებელი: თამარ მაჭარაშვილი/01019010606/ ), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა).

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **400052134**

**დამატებით წარმოდგენილი:** (26/09/2023 10:55:20)

- სადამფუძნებლო შეთანხმება, წესდება, პ.მ ასლები

მომსახურება: 1 დღის ვადაში 200 + 7*4 + 26 ლარი

---

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **2 405 405**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

6

# სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

**სამართლებრივი ფორმა ---** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

***საფირმო სახელწოდება** დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრი
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე** Independent Living Center for Disabled Women
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

*** იურიდიული მისამართი** - თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 105
ორგანიზაციის ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

**ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი** ilc.wwd.g@gmail.com
(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

**ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი**
(არსებობის შემთხვევაში)

***დამფუძნებლები**
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი

1. თამარ მაჭარაშვილი 01019010606 - მის. ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N315, ბ N 2
2. თამარ მაღლაკელიძე 01008015822 - მის. ქ. თბილისი, ბაგები, კორპ.1, ბ. 61
3. ლილი რუსეიშვილი 33001006204 - მის. ქ. თბილისი დიღმის მასივი, IV კვ., კორპ. 16 ბ.30

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები**
(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

1. გამგეობის თავმჯდომარე - თამარ მაჭარაშვილი, პ/ნ 01019010606 - მის. ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N315, ბ N 2

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**
(უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ ორგანიზაციას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ასეთი უფლებამოსილების ფარგლები უნდა მიეთითოს თითოეული ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან მიმართებით)

ერთპიროვნულად

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი**
(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

თამარ მაჭარაშვილი დამფუძნებელი/გამგეობის წევრი (მცხ. თბილისი, ც. დადიანის ქ # 315, პ/ნ 01019010606);

*** სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი**

ilc.wwd.g@gmail.com

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

551 004 204

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

**მმართველი ორგანო:** წევრთა საერთო კრება, გამგეობა

გამგეობის წევრები:

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1).თამარ მაჭარაშვილი დამფუძნებელი/გამგეობის წევრი (მცხოვრები თბილისი, ც. დადიანის ქ # 315, პ/ნ 01019010606);

2).თამარ მაღლაკელიძე დამფუძნებელი/გამგეობის წევრი (მცხოვრები თბილისი, ბაგები,კორ.1 ბ.61, პ/ნ 01008015822 );

3). მაია ოკრიბელაშვილი გამგეობის წევრი (მცხოვრები თბილისი, არბოს ქ#20ა ბინა#21 პ/ნ 01023011084);

***საქმიანობის მიზანი:**

- შშმ ქალებისა და გოგონების პატივის და ღირსების, უფლებებისა და თავისუფლების დაცვა/ადვოკატირება და ლობირება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში;
- შშმ ქალებისა და გოგონების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო (ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების) და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურების ხელშეწყობა;
- საზოგადოებაში შეზღუდულ შესაძლებლობაზე არსებული ცნობიერების ამაღლება შშმ ქალთა კონტექსტში;
- შშმ ქალებისა და გოგონების უფლებების/თავისუფლების დაცვის, მათი ნიჭისა და უნარის განვითარების, საზოგადოებაში მათი ინკლუზიის პროცესის დაჩქარების ხელშეწყობა;
- შშმ ქალებისა და გოგონების საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით პროცესებში ჩართვა;
- სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ხელშეწყობა, შშმ ქალებისა და გოგონების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრაში და სხვა.

ორგანიზაციის ხედვა - შშმ ქალებისა და გოგონების გაძლიერება სრული და ეფექტური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის.

ორგანიზაციის მისია - შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებისა და შესაძლებლობის გათანაბრება საზოგადოების სხვა დანარჩენი წევრების უფლებებსა და შესაძლებლობასთან.

**დანართი:** წესდება

1. ................................................................................

დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

..................

ხელმოწერა

2. ................................................................................

დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

..................

ხელმოწერა

თარიღი: 25.09.2023

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №292
თარიღი 26-09-2023 წ.
გვ.რაოდენობა ... ხელმოწერა ...

...იციის სამინისტრო
...როვნული სააგენტო
...ი №292
______ 200 წ.
...ელმოწერა ..............



Georgia IDENTITY CARD GEO

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა

სახელი / FIRST NAME
თამარ
TAMAR

გვარი / LAST NAME
მაღლაკელიძე
MAGLAKELIDZE

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მდ / F
პირადი No / PERSONAL No: 01008015822

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 03.12.1965
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 20.02.2033

ბარათის No / CARD No: 22IB28322

ხელმოწერა / SIGNATURE



Georgia IDENTITY CARD GEO

საქართველო

მოქალაქის პირადობის მოწმობა

სახელი / FIRST NAME
თამარ
TAMAR

გვარი / LAST NAME
მაჭარაშვილი
MATCHARASHVILI

მოქ. / CIT: GEO
სქესი / SEX: მდ / F
პირადი No / PERSONAL No: 01019010606

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH: 12.01.1964
მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY: 19.12.2028

ბარათის No / CARD No: 18IC27872

ხელმოწერა / SIGNATURE

B23134576

გადახდის ნომერი: **EN2486859**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B23134576**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 22/09/2023 12:43:11
განცხადების ნომერი: 2486859
განცხადების მიღების დრო: 22/09/2023 12:39:14

# განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება ( განმცხადებელი: თამარ მაჭარაშვილი/01019010606/ ), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა).

სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი
დასახელება: დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: **400052134**

დამატებით წარმოდგენილი: (28/09/2023 13:58:02)

- დამატებით წარმოდგენილია მეორე მხარის მიერ ხელმოწერილი წესდებაც და პ/მ ასლი.

მომსახურება: 1 დღის ვადაში 200 + 7*7 + 26 ლარი

---

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **2 405 405**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

წესდება – დამფუძნებელთა შეთანხმება

დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრი

2023 წელი

## მუხლი 1

## ზოგადი დებულებები

1.1. დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრი (სახელწოდება ინგლისურ ენაზე Independent Living Center for Disabled Women (ILCDW) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. დამოუკიდებელი ცხოვრების შშმ ქალთა ცენტრი (შემდგომში ცენტრი) დაფუძნდა განუსაზღვრელი ვადით და წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. ცენტრი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. ცენტრის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი ცოტნე დადიანის ქ. N 105

1.5. ცენტრი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ცენტრის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ცენტრის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ცენტრი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.6. ცენტრის ელექტრონული ფოსტის მისამართია ilc.wwd.g@gmail.com

## მუხლი 2

## ორგანიზაციის დამფუძნებლები

1.თამარ მაჭარაშვილი – დაბადებული 12.01.1964 წ.

მცხ: თბილისი, ც.დადიანის კორ.315, ბ.2

პირადი N 01019010606 ; მოწმობის N ლ1242402 ;

ვის მიერაა გაცემული და როდის:

იუსტიციის სამინისტრო –19.12.2018

2. თამარ მაღლაკელიძე–დაბადებული 03.12.1965 წ.

მცხ: თბილისი, ბაგები, .კორ.1 ბ.61

პირადი N 01008015822; მოწმობის N ბ0191738

ვის მიერაა გაცემული და როდის:

იუსტიციის სამინისტრო –20.02.2023წ.

3. ლილი რუსიეშვილი- დაბადებული 02.02.1979წ.

მცხ: თბილისი, დიღმის მასივი, IV კვ. კორპ. 16 ბ. 30

პირადი N33001006204 მოწმობის №1206972

ვის მიერაა გაცემული და როდის:სამოქალაქო

რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის

სამსახური - 04.09.2008 წ.

## მუხლი 2

## ცენტრის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ფორმები

2.1. ცენტრის მიზნებია: (ა)შშმ ქალებისა და გოგონების პატივის და ღირსების, უფლებებისა და თავისუფლების დაცვა/ადვოკატირება და ლობირება საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში; (ბ)შშმ ქალებისა და გოგონების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო (ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების) და არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურების ხელშეწყობა; (გ)საზოგადოებაში შეზღუდულ შესაძლებლობაზე არსებული ცნობიერების ამაღლება შშმ ქალთა კონტექსტში; (დ)შშმ ქალებისა და გოგონების უფლებების/თავისუფლების დაცვის, მათი ნიჭისა და უნარის განვითარების, საზოგადოებაში მათი ინკლუზიის პროცესის დაჩქარების ხელშეწყობა; (ე)შშმ ქალებისა და გოგონების საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით პროცესებში ჩართვა; (ვ)სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ხელშეწყობა, შშმ ქალებისა და გოგონების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრაში და სხვა.
ორგანიზაციის ხედვა შშმ ქალებისა და გოგონების გაძლიერება სრული და ეფექტური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობისთვის.

ორგანიზაციის მისია შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებისა და შესაძლებლობის გათანაბრება საზოგადოების სხვა დანარჩენი წევრების უფლებებსა და შესაძლებლობასთან
ორგანიზაციის მისიისა და საწესდებო მიზნების მისაღწევად ცენტრი:
2.1.1.ახორციელებს კვლევით საქმიანობებს, ატარებს გამოკითხვებს, სოციოლოგიურ სტატისტიკურ ანალიზს შშმ ქალებისა და გოგონების საჭიროებების იდენტიფიცირებისა და სისტემატიზირების მიზნით;
2.1.2.ეწევა საგანმანათლებლო შემოქმედებით საქმიანობას შშმ გოგონებისა და ქალების მიერ საკუთარი უფლებების გაცნობიერების და უფლებათა გამოყენების უნარჩვევების ამაღლებისათვის, ამ მიზნით მოიპოვებს და გასცემს გრანტებს.
2.1.3.შშმ ქალებისა და გოგონების საკითხებთან დაკავშირებით ეწევა საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობას; საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით ატარებს კონფერენციებსა და დისკუსიებს;
2.1.4.ეწევა შშმ ქალებისა და გოგონების უფლებების, ეროვნულ მუნიციპალურ და უწყებრივ დონეებზე კონსულტირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობის პოპულარიზაციას და ხელს უწყობს სფეროში თანამედროვე მიდგომების დამკვიდრებას;

2.1.5. ეწევა ისეთი სერვისების/საქმიანობის, მათ შორის ინდივიდუალური და სისტემური ადვოკატირების, ურთიერთდახმარების, ინფორმაციისა და მხარდაჭერილი რეფერალის, ასევე სხვა სერვისების/საქმიანობის დანერგვას და შშმ ქალებისა და გოგონებისთვის მიწოდებას, რომელიც გააუმჯობესებს მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხს და გაზრდის მათ ინკლუზიას საზოგადოებაში.

2.1.7.ეწევა შშმ ქალთა თემში გენდერული თანასწორობის საკითხების და ქალთა საკითხებში შშმ ქალთა საკითხების ასახვის პოპულარიზაციას/ადვოკატირებას და ხელს უწყობს შშმ ქალებისა და გოგონების ჩართულობას: სამშვიდობო პოლიტიკის მშენებლობის პროცესებში, კლიმატის და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარების საკითხებში, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებშიდა საკთხებში , რომელიც მიმართულია ზოგადად ქალთა უფლებების დაცვისკენ.

2.1.8.ზრუნავს შშმ პირთა/ქალთა საკითხებზე არსებული თანამედროვე ლიტერატურით, აუდიო და ვიდეო მასალებით აღჭურვილი საბიბლიოთეკო ქსელის შექმნასა და განვითარებაზე. ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;

2.1.9. ეწევა ფინანსური სახსრების დაგროვებას და გაცემას, მათ შორის გრანტის სახით , 2.1.2. პუნქტით დასახული მიზნების განსახორციელებლად.

2.1.10.შესაძლოა ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;

2.1.11.უფლება აქვს განახორციელოს სხვა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით;

## მუხლი 3 წევრობა

3.1. ცენტრის წევრი შეიძლება გახდეს ზრდასრული ასაკის, ნებისმიერი ფიზიკური პირი, ქალი, რომელიც იზიარებს ცენტრის მიზნებს. ცენტრის შშმ პირის სტატუსის არმქონე წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს წევრთა საერთო რიცხვის 40%- ს.

3.2. ცენტრის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმით წერილობითი განცხადებით მიმართავს ცენტრის გამგეობას. გამგეობა წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შემოსვლიდან არა უგვიანეს 6 თვისა. გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტამდე წევრობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ცენტრის ორი წევრის დადგენილი ფორმით წერილობითი რეკომენდაცია.

3.3. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ცენტრის საქმიანობას, ცენტრის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნეს ცენტრის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ცენტრის წევრისათვის ამ წესებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

3.4. ცენტრის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

3.5. ცენტრის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

3.5.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

3.5.2. გამგეობის წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის ზედიზედ სამი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

3.5.3. სასამართლოს გადაწყვეტილებით;

3.5.4. გარდაცვალებისას;

3.5.5. საერთო კრების გადაწყვეტილებით ცენტრის წევრი შეიძლება გაირიცხოს ცენტრიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

## მუხლი 4 წევრთა უფლება-მოვალეობანი

<u>4.1. ცენტრის წევრს უფლება აქვს:</u>

4.1.1. მონაწილეობდეს ცენტრის საერთო კრების მუშაობაში;

4.1.2. აირჩიოს და არჩეულ იქნეს ცენტრის მმართველობის ორგანოებში;

4.1.3. კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ცენტრის პროგრამებში;

4.1.4. სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს გამგეობის სხდომებში;

4.1.5. მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ცენტრის საქმიანობის შესახებ;

4.1.6. ცენტრის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ცენტრის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ - ტექნიკური საშუალებებით;

4.1.7. ატაროს ცენტრის ემბლემა და სხვა აქსესუარები.

4.2. ცენტრის წევრი მოვალეა:

4.2.1. დაიცვას ცენტრის წესდება, შინაგანაწესი და მმართველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

4.2.2. გაუფრთხილდეს ცენტრის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

4.2.3. შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ცენტრის საქმიანობაში;

4.2.4. სფეროში საქმიანობისას იხელმძღვანელოს ცენტრის მიზნებითა და დადგენილი ეთიკის ნორმებით;

4.2.5. გადაიხადოს საწევრო შენატანი დადგენილი წესითა და ოდენობით;

## მუხლი 5 საერთო კრება

5.1. ცენტრის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა ცენტრის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ და ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც;

5.2. საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილებების საკითხის შეტანას წყვეტს გამგეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარდგენილ იქნა ცენტრის წევრთა 2/3-ის მოთხოვნით.

5.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 3/5. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით ან კანონით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

საერთო კრება:

5.4.1. დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს ცენტრის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

5.4.2. ფარული კენჭისყრით დამსწრეთა ფარდობითი უმრავლესობით ირჩევს/ნიშნავს გამგეობის წევრებს. ხმის თანაბრად გაყოფის შემთხვევაში იმართება წილისყრა;

5.4.3. ისმენს ცენტრის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;

5.4.4. დამსწრეთა უმრავლესობით ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ცენტრის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

5.4.5. დამსწრეთა ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის რეორგანიზაციის შესახებ;

5.4.6. წევრთა 2/3-ით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის თვითლიკვიდაციის შესახებ;

5.4.7. იღებს გადაწყვეტილებას წევრის ცენტრიდან გარიცხვის შესახებ;

5.5. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა ცენტრის გამგეობის მიერ: (ა)საკუთარი ინიციატივით;(ბ) თავმჯდომარეს ან ცენტრის წევრთა 1/10-ის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არა უგვიანეს ორი თვისა.

## მუხლი 6 ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

6.1. ცენტრის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა (რომლის წევრთა ნახევარზე მეტი უნდა იყოს შშმ ქალი/გოგონა), რომელიც შედგება მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 9 წევრისაგან და რომელთა შემადგენლობას ორგანიზაციის წევრთაგან დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით

ირჩევს წევრთა საერთო კრება 3 წლის ვადით. გამგეობის წევრთა რაოდენობა აუცილებელია იყოს კენტი.

6.2. გამგეობის სხდომები იმართება ყოველი კენტი თვის ბოლო კვირაში. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა ცენტრის თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის წევრთა 1/3-ის მოთხოვნით. გამგეობა უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გამგეობის წევრებს და ცენტრის სხვა ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს გამგეობის ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 დღით ადრე მაინც, (კომუნიკაციის ისეთი საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების შესაძლებლობას) ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - უნდა ეცნობოთ დაუყოვნებლივ.

6.3. ცენტრის თითოეულ წევრს შეუძლია წარადგინოს გამგეობის წევრობის იმდენივე კანდიდატურა, რამდენი წევრიცაა გამგეობაში. ამასთანავე, დასახელებულ წევრებს აქვთ უფლება, უარი განაცხადონ გამგეობის წევრად მათი კანდიდატურის წარდგენაზე.

6.4. გამგეობის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ფიზიკური პირი.

6.5. გამგეობის ახალი წევრის არჩევის მიზნით, ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება იკრიბება გამგეობის რომელიმე წევრის ან ზოგადად გამგეობის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის (პირადი განცხადება, ან სხვა საფუძველი) ან უფლებამოსილების ვადის გასვლის შემთხვევაში, არანაკლებ 1 თვით ადრე. გამგეობის ახალი წევრის ან გამგეობის უფლებამოსილება იწყება გამგეობის ყოფილი წევრის/გამგეობის უფლებამოსილების ვადის გასვლის ან მისი შეწყვეტის თარიღიდან ჩანაცვლებული გამგეობის წევრის ან თუ მთლიანად გამგეობა შეიცვალა ზოგადად გამგეობის უფლებამოსილების ვადით. გამგეობის წევრის/გამგეობის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას, მისი უფლებამოსილება გრძელდება მანამ, სანამ მის ნაცვლად არ იქნება არჩეული გამგეობის ახალი წევრი ან გამგეობა.

<u>6.6. გამგეობა:</u>

6.6.1.გამგეობის წევრთაგან ფარული კენჭისყრით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს და სხდომის მდივანს (რომელიც ადგენს სხდომის ოქმს, ეხმარება თავმჯდომარეს ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებაში და ხელს აწერს სხდომის ოქმს);

6.6.2. იწვევს და ატარებს საერთო კრებას, კრების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ორი კვირით ადრე მაინც აცნობებს ცენტრის წევრებს;

6.6.3. გამგეობა ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე ერთი თვით ადრე;

6.6.4. საჭიროების შემთხვევაში იძლევა თანხმობას აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნაზე (რომელიც არ უნდა იყოს ორგანიზაციის გამგეობის წევრი და ორგანიზაციის არა წევრი).;

6.6.5. ფარული კენჭისყრით წყვეტს ცენტრის წევრად მიღების საკითხს;

6.6.6. სარეკომენდაციო წერილით მიმართავს ცენტრის იმ წევრებს, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ცენტრის მიზნებს ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

6.6.7. ადგენს წევრობის მსურველებთან და წევრებთან ურთიერთობის წესს;

6.6.8. შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

6.6.9. ამტკიცებს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს საერთო კრებისთვის წარსადგენად;

6.6.10. ამტკიცებს ცენტრის სტრატეგიული გეგმისა და საბიუჯეტო პარამეტრებს;

6.6.11. წყვეტს ცენტრის რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;

6.6.12. ადგენს ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო ბადეს;

6.6.13. თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს ცენტრის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

6.6.14.ირჩევს ცენტრის ბუქდვითი ორგანოს სარედაქციო საბჭოს;

6.6.14. აფუძნებს ცენტრის საწარმოებს და ცენტრის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს მათ ხელმძღვანელებს;

6.6.15. წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

6.6.16. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ გამგეობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ საერთო კრებაზე. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან გამგეობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებულ წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

<u>ორგანიზაციის გამგეობის წევრები არიან:</u>

1).თამარ მაჭარაშვილი (მცხოვრები თბილისი, ც- დადიანის ქ # 315, პ/ნ 01019010606);

2).თამარ მაღლაკელიძე (მცხოვრები თბილისი, ბაგები, .კორ.1 ბ.61, პ/ნ 01008015822 );

3). მაია ოკრიბელაშვილი (მცხოვრები თბილისი, არბოს ქ#20ა ბინა#21 პ/ნ 01023011084);

## მუხლი 7. გამგეობის თავმჯდომარე

7.1.გამგეობის საქმიანობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი და რომელსაც თავისი შემადგენლობიდან გამგეობის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტისა, გამგეობის უფლებამოსილების ვადით ირჩევს გამგეობა ფარული კენჭისყრით. გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მის მიერ წინამდებარე წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, გამგეობა ირჩევს ახალ თავმჯდომარეს. პირი თავმჯდომარედ შეიძლება იქნას არჩეული 3 წლის ვადით და ხელახალი დანიშვნის უფლებით.

7.2.თავმჯდომარე თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას პასუხისმგებელია შემდეგ მიმართულებებზე:

ა) ცენტრის საქმიანობის წარმართვაზე საწესდებო მიზნების მისაღწევად და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში პირადი პასუხისმგებლობით დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს ორგანიზაციას;

ბ) წარმოადგენს ცენტრს სხვა პირებთან ურთიერთობაში, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ;

გ) ცენტრის სტრატეგიულ დაგეგმარებაზე გამგეობასთან ერთად;

დ) ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურის დახვეწასა და მუდმივ განახლებაზე;

ე) ცენტრის მიერ დასახული მიზნების მიღწევასა და ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების ეფექტიანობაზე;

ვ) ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობისა და მასში ორგანიზაციის წევრთა მაქსიმალური თანამონაწილეობის უზრუნველყოფაზე;

ზ) საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებასა და გაფართოებაზე, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების დანერგვასა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაზე, ახალი ფონდების მოძიებასა და ფინანსური სახსრების დივერსიფიკაციაზე;

თ) თავმჯდომარე იწვევს და ხელმძღვანელობს გამგეობის მორიგ და რიგგარეშე სხდომებს;

ი) აღმასრულებელ დირექტორთან ერთად (არსებობის შემთხვევაში) ხელს აწერს ორგანიზაციის საფინანსო დოკუმენტებს;

7.3. გამგეობის თავმჯდომარე აგრეთვე:

ა) ზრუნავს ორგანიზაციის თანამშრომელთა პროფესიონალიზმსა და კარიერულ განვითარებაზე;

ბ) ზრუნავს ადამიანური რესურსების განახლიანებასა და ახალი კადრების მოზიდვაზე;

გ) ზედამხედველობს ცენტრის ფინანსური სახსრებისა და ქონების მართვას;

დ) ზრუნავს გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვასა და შიდა ორგანიზაციული კულტურის განვითარებაზე;

ე) ზრუნავს ცენტრის იმიჯის სტაბილურობაზე ქვეყნის შიგნით და გარეთ, დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ვ) ხელს აწერს ცენტრის გამგეობის გადაწყვეტილებებს, სხვა ოფიციალურ დოკუმენტებსა და ხელშეკრულებებს.

ზ) ახორციელებს ცენტრის ხელმძღვანელობას ფინანსურ ნაწილში და პასუხისმგებელია ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკაზე;

თ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ანგარიშვალდებულია გამგეობის და საერთო კრების წინაშე.

ი) უზრუნველყოფს გამგეობისა და წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებათა აღსრულებას;

კ) ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების მართვას და პასუხისმგებელია მათ კეთილსინდისიერ და სწორ გამოყენებაზე;

ლ) უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს, რომელიც სავალდებულოა ორგანიზაციის ყველა თანამშრომლისათვის;

მ) შეიმუშავებს ორგანიზაციის ორგანიზაციულ სტრუქტურას, შრომის შინაგანაწესს და საშტატო განრიგს და 2 კვირის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას;

ნ) განსაზღვრავს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და საერთო კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

ო) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შრომით პოლიტიკას, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს ორგანიზაციის თანამშრომლებს, გამგეობასთან შეთანხმებით განსაზღვრავს თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების ოდენობას და აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში აცნობებს გამგეობას;

პ) ცენტრის სახელით, დამოუკიდებლად ახორციელებს ცენტრის წარმომადგენლობას საბანკო დაწესებულებებთან და მართავს/განკარგავს ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში კი ერთი კვირის ვადაში აცნობებს ორგანიზაციის გამგეობას. მის კომპეტენციაში შემავალ ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით გასცემს შესაბამის მინდობილობებს;

ჟ) ცენტრის სახელით ორგანიზაციის საბანკო ანგარიშების გახსნის ან დახურვის შემთხვევაში, ანგარიშების გახსნის ან/და დახურვიდან ერთი კვირის ვადაში აღნიშნულის შესახებ აცნობებს ორგანიზაციის გამგეობას.

რ) განკარგულებით განსაზღვრავს ორგანიზაციის ემბლემას, ლოგოს და სხვა სიმბოლოებს რომელსაც 2 კვირის ვადაში დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობას.

ს) გამგეობას და საერთო კრებას წარუდგენს წლიურ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს;

ტ) ახორციელებს ორგანიზაციის ფინანსურ პოლიტიკას და ხელს აწერს ორგანიზაციის საფინანსო დოკუმენტებს;

უ) ახორციელებს სახსრების მოზიდვისაკენ მიმართულ საქმიანობას და წარმართავს ურთიერთობებს დონორ ორგანიზაციებთან;

ფ) ზრუნავს ორგანიზაციის შესახებ ცნობადობის გაზრდაზე, მისი იმიჯის ჩამოყალიბებაზე დონორებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, მედიასთან, ბიზნესთან; ასევე, ზრუნავს ორგანიზაციის მენეჯმენტის ხელშეწყობაზე ფონდების მოძიებისთან დაკავშირებით.

ქ) ასრულებს ყველა იმ ფუნქციას, რომელიც ემსახურება ორგანიზაციის საწესდებო მიზნებსა და ამოცანებს და არ განეკუთვნება საერთო კრების ან/და გამგეობის კომპეტენციას.

7.4. თავმჯდომარის ხმის მიცემის უფლება შეზღუდულია, როდესაც ხდება მისი უფლებამოსილების შეწყვეტაზე ან ანაზღაურების საკითხზე კენჭისყრა.

7.5. ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე მისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებას, რომელსაც აქვს შესაბამისი თარიღი და ნომერი.

7.6. ცენტრის გამგეობის თავმჯდომარეს მისი უფლებამოსილებების უკეთ განხორციელების და ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების ხელშესაწყობად შესაძლოა ჰყავდეს მაქსიმუმ სამი მოადგილე ორგანიზაციის წევრებიდან, რომელთაც თავისივე ბრძანებით ნიშნავს და განუსაზღვრავს კომპეტენციებსა და მიმართულებებს. მოადგილე არ შეიძლება იყოს გამგეობის წევრი.

ცენტრის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული არის თამარ მაჭარაშვილი პ/ნ 01019010606, მცხ. ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა 315, სად.#1 ბინა #2 მობილური +995 551004204, ელ. ფოსტა: t.macharashvili1@gmail.com

## მუხლი 8 ბუღალტრული აღიცხვა და აუდიტი

8.1. ცენტრი აწარმოებს ჩანაწერებს მის მიერ შესრულებულ ფინანსურ ოპერაციებზე/სამუშაოებზე.

8.2. ცენტრის გამგეობა ყოველწლიურად ადგენს შესაბამის ანგარიშს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და წარუდგენს მას საერთო კრებას.

8.3. საერთო კრება წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით უფლებამოსილია დანიშნოს როგორც შიდა, ისე გარე აუდიტი, რომელიც ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

## მუხლი 9 საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

9.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად.

9.3.ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

9.4. ცენტრის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

9.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საერთო კრების წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

9.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

9.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საერთო კრების წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

9.8.ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

9.9.ცენტრის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება

9.10 გადაწყვეტილება ცენტრის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ მიღებულად ითვლება, თუ მას საერთო კრების წევრთა 2/3-მა მისცა ხმა;

9.11ცენტრის საქმიანობა შეიძლება შეწყდეს სხვა შემთხვევებშიც, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით;

9.12ლიკვიდაციას ახორციელებს წევრთა საერთო კრების მიერ დანიშნული სალიკვიდაციო კომისია;

ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

**მუხლი 10 დასკვნითი დებულებები**

10.1. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

10.2.საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ წესდებით, მოწესრიგდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თამარ მაჭარაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2173
თარიღი 28. 09 2023წ.
გვ.რაოდენობა 10 ხელმოწერა



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი № 2173
თარიღი 28. 09 2023წ.
გვ.რაოდენობა 10 ხელმოწერა

Georgia IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
თამარ
TAMAR

გვარი / LAST NAME
მაღლაკელიძე
MAGLAKELIDZE

| მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No |
| --- | --- | --- |
| GEO | მდ / F | 01008015822 |

| დაბადების თარიღი DATE OF BIRTH | მოქმედების ვადა DATE OF EXPIRY |
| --- | --- |
| 03.12.1965 | 20.02.2033 |

ბარათის No / CARD No
22IB28322

ხელმოწერა
SIGNATURE